ნოდარ ჭითანავა

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები და განვითარების ახალი სტრატეგიის ფორმირების ლოგიკა

ნოდარ ჭითანავა,
ემდ, პროფესორი

20 წელზე მეტი გავიდა, რაც საქართველო ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობს. ქვეყნის განვითარებაში „გარდამავალი პერიოდი“ გახანგრძლივდა, ძნელია რეალურად შეაფასო განვითარების რომელ ფაზაშია ქვეყანა. არც ის ვიცით, როგორი ტიპის ეკონომიკა გვაქვს. მით უმეტეს როგორია მისი თვითგანვითარების ლოგიკა. საით მივდივართ, როგორია სწორი არჩევანი. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა მხარე (ასპექტი) „ნივთად თავისთვის“ პრინციპითაა წარმოდგენილი. მასშტაბურ ტრანსფორმაციულ პროცესებში ბევრი სუბიექტი მონაწილეობს. ყველა მათგანს ამოძრავებს მოძალებული ინსტინქტები. საკუთარი ინტერესების გადარჩენა-შენარჩუნების განთითოებული პოზიცია ცალ-ცალკე და მით უმეტეს, ერთად, საზოგადოებას აშორებს საერთო მიზანს – **„ერთხორც და ერთსულ“** შეიკრას ქვეყანა. ჩანს, რომ საზოგადოება (ვგულისხმობ, მთელ ქვეყანას) დაბნეულია. ცალ-ცალკე ფორმირებადი „ჯგუფები“, „გუნდები“, „ფენები“ ქვეყნის გამთლიანებას ხელოვნურად მოგონილ ბარიერებს უქმნიან, რაც ბუნებრივია, განვითარებაში შეფერხებებს იწვევს და ამით უფრო „მდგრადი“ ხდება – განცალკევებულობის სენით დაავადების პროცესი. რატომ ხდება ასე? ეს ჩვენი გენეტიკური სენია, თუ ამჟამად ჩამოყალიბებული სიტუაციის (როგორც გარე, ისე შიდა) ადეკვატური შეფასების უნარის უქონლობა? რატომ ხდება, რომ დღესაც, როცა თითქოს ყველაფერი გაშიშვლდა, ყველაფერი ნათლად ჩანს, მწარე გამოცდილება დამსახურებით თუ დაუმსახურებლად შევიძინეთ, განვიცადეთ, უშუალოდ ვიგრძენით, რომ კვლავაც დაშვებული შეცდომებით, სხვადასხვა პერიოდების პოლიტიკური და ფსიქოლოგიური წნეხით გატკეპნილ გზაზე („იზმებისკენ“ სწრაფვა) გვირჩევნია ყოფნა? ამ და სხვა რთულ კითხვებს საზოგადოებამ ჯეროვანი პასუხი უნდა გასცეს.

წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად, დღეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის სრული ანალიზი წარმოადგინოს. მით უმეტეს, ზემოთ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს. ეს ერთი კაცის, ვინც უნდა იყოს იგი, გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. ყველაზე სწორი ის იქნება, რომ საზოგადოება უფრო გააქტიურდეს, უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება საქვეყნო საქმეების მიმართ, საჯაროდ ითქვას რასაც ფიქრობს, რაში ხედავს გამოსავალს, როგორ ესახება ქვეყნის განვითარების მომავალი. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საზოგადოებაში ვინმეს (პიროვნებას, თუ ჯგუფს, სახელმწიფო, თუ სამეცნიერო დაწესებულებას, პოლიტიკურ პარტიას, თუ მსოფლიო თანამეგობრობის რომელიმე სტრუქტურას) ჰქონდეს გამზადებული რეცეპტი, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა. ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს. ქვეყნის განვითარების სტრატეგია ჩვენ უნდა განვსაზღვროთ და განვახორციელოთ. ამიტომ არის საჭირო უფრო აქტიურად ჩაერთოს სა-

ზოგადოება, მით უმეტეს მეცნიერება, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ფორმირებაში.

უკანასკნელ წლებში საზოგადოების დაშლა-დანაწევრების პროცესი უფრო გაღრმავდა, დაპირისპირებულ ძალთა მოქმედების სივრცე გაფართოვდა. მოსალოდნელია უფრო მასშტაბური და დამანგრეველი კატაკლიზმებიც. ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე გარე ფაქტორებს (მათ ერთობლიობას) ქვეყნის მომავალზე ზემოქმედების ისეთი ძალა (ბერკეტები) არ ჰქონია, როგორც დღეს. ასეთია გლობალიზაციით შემოთავაზებული რეალობა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ უკანასკნელი წლების კატაკლიზმების ფონზე გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება იმ მიზეზ-ფაქტორების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის ტრანსფორმაციის რთული პროცესის წინააღმდეგობრივად (თანაც დაპირისპირების უკიდურესი ფორმებით) განვითარებას. ტრანსფორმაციული პროცესები შევეცადეთ განგვეხილა, მისი მთავარი არტერიის – ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნების შედეგების ანალიზით, რაც იძლევა საშუალებას პროცესის, როგორც მთლიანობითი სისტემის ობიექტურად შეფასებისათვის. ასევე საჭირო გახდა გამოგვევლინა არაეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებმაც ნეგატიური როლი შეასრულეს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და დღესაც ხელს უშლიან მწვავე პრობლემების გადაწყვეტას.[1]

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველო აღმოჩნდა ორი პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემის – კაპიტალიზმისა და სოციალიზმის – ჯერ დაპირისპირების, შემდეგ კი პირველის მიერ მეორეს დამარცხების ეპიცენტრში, როგორც გარე ფაქტორის ზემოქმედების ობიექტი. პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: ქვეყანამ, რომელიც ეზიარა მრავალსაუკუნოვან ოცნებას – მიიღო თავისუფლება და დამოუკიდებლობა – ვერ შეძლო საკუთარი ძალების კონსოლიდაცია, მოზღვავებული ეროვნული ენერგიის სწორად წარმართვა. **დეკლარირებული მიზნები და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ლოგიკა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა და ქვეყანაში გარდაქმნები სტიქიურად წარიმართა.**

გარდამავალ პერიოდში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა (აქვს) პოლიტიკურ ფაქტორებს. მათი გავლენით სოციალისტური სისტემის დემონტაჟის ნაცვლად, მისი სტიქიური ნგრევა მოხდა, მოიშალა ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული პოტენციალი, ქვეყანაში გაძლიერდა კორუფცია, აღზევდა ჩრდილოვანი ეკონომიკა. ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესი აღმოჩნდა კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში, საწყის ეტაპზე სახელმწიფო ფაქტობრივად ტრანსფორმაციულ პროცესებს ჩამოსცილდა, რასაც მყისიერად მოყვა კრიმინალურ ცნობიერებაზე სპონტანურად აღმოცენებული სტრუქტურების (ჯგუფების) აღზევება, მათი შერწყმა სახელმწიფო ინსტიტუტებთან.[2] დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა, გაღრმავდა რეგიონული განვითარების დიფერენციაციის პროცესი. სათანადო ყურადღება არ მიექცა ინსტიტუციონურ ფაქტორს. ტრანსფორმაციული პროცესები შესაბამისი კანონების, წესების, ორგანიზაციული სტრუქტურების გარეშე წარიმართა. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია განხორციელდა უხეში დარღვევებით ერთიანი პროგრამის გარეშე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემო არ შექმნილა, ჯანსაღი კონკურენტული გარემო ვერ ჩამოყალიბდა. ეკონომიკური ფაქტორების როლი სუსტი აღმოჩნდა. გარდაქმნების მთავარ პრიორიტეტად საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების გავლენით მიჩნეულ იქნა ეკონომიკის ლიბერალიზაცია. იმედები, რომ იგი უზრუნველყოფდა ეკონომიკურ ზრდას, და რაც მთავარია, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ლიბერალიზაციას, როგორც პროცესს, სჭირდება სახელმწიფოებრივი რეგულირების ძლიერი ინსტიტუტები. ეს მოთხოვნა იგნორირებული იყო. გამოცდილება ადასტურებს, რომ გარდამავალ პერიოდში ინსტიტუციური ფაქტორის როლი ახალი ტიპის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ყოვლისშემძლე ლიბერალიზაცია". დაშვებულ იქნა უხეში თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებიც. „გარდაქმნები" ეკონომიკის დარგებში, ერთიანი მეთოდოლოგიის გარეშე განხორციელდა. გარდაქმნების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლებიც განსაზღვრული არ იყო. შესაბამისი შედეგიც მივიღეთ – სოციალურ-ეკონომიკური სისტემური კრიზისი. სამწუხაროდ, იგი დღესაც სახეშეცვლილი ფორმით გრ-

[1] ვრცლად ნოდარ ჭითანავა „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები". თბ. გამომცემლობა „ივერონი". 2012 წ.

[2] ვრცლად ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე. სოციალური ეკონომიკა; ფორმირება და განვითარება. I ნაწილი. თბ. 2008 წ. გვ. 139-191.

ძელდება.[3] მიუხედავად უკანასკნელ წლებში ზრდის შედარებით მაღალი ტემპებისა, მშპ წარმოების რეფორმამდელი დონე (1990 წლის მაჩვენებელი) მიღწეული არ არის. ქვეყანაში შეიქმნა მძიმე სოციალური მდგომარეობა. მაღალია უმუშევრობის დონე, მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. შიმშილი, უმუშევრობა, უწიგნურობა, ავადმყოფობა და უთანასწორობა დღევანდელი ცხოვრების თანმდევი მოვლენებია. 2010 წლის მონაცემებით დეცილური მაჩვენებელი (10% მდიდარსა და 10% ღარიბს შორის თანაფარდობა) შეადგენს 17:1. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია პოსტსაბჭოთა სივრცეში. მკვეთრად შემცირდა ქვეყნის მოსახლეობა (18-20%-ით). საერთაშორისო შესაბამისი სტრუქტურების (მსოფლიო მოსახლეობის ბიუროს) ანალიზით 2050 წლისათვის მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობა 3,6 მლნ კაცამდე შემცირდეს.[4]

გარდამავალ პერიოდში გამოიკვეთა საშიში ტენდენცია: **ეროვნული ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე „ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის სპონტანურად ჩამოყალიბებული სოციალური წინააღმდეგობა გადაიზარდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში,** რაც „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიის მოდერნიზებული ფორმების გამოყენების საფრთხეს შეიცავს.

ეს ორი კატეგორია („ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“) მხოლოდ პირობითად განსხვავებული ცნებები არ არის. ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მენტალიტეტია, ფასეულობათა აღიარებაა. მათ სხვადასხვა სამომხმარებლო ბაზრებიც აქვთ, ფასწარმოქმნის მექანიზმის გავლენაც სხვადასხვანაირია. ამიტომ საზოგადოებრივი ქცევის სხვადასხვა ნორმებით ცხოვრობენ. ეს განსაკუთრებული ტიპის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც განვითარების პროცესებზე პირდაპირი ზემოქმედებით ყოველმხრივ ხელს უშლის საზოგადოების კონსოლიდაციას, საბოლოოდ, სოციალურ წონასწორობას. ნიშანდობლივია, რომ ეს მოვლენა საქართველოში აღმოცენდა ეროვნული ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე. ამასთან, „ახალი ღარიბების“ დიდი ნაწილი განათლებული ადამიანები არიან. ასეთ მოვლენას ისტორიული ანალოგი არა აქვს. აღნიშნული პოლიტიკური წინააღმდეგობის (ფორმითა და შინაარსით) გონივრულად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი

ტრანფორმაციული პროცესების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა და არა ეფექტიანად ფუნქციონირებს კვაზი საბაზრო ეკონომიკური სისტემა. იგი მრავალწყობიანია (მრავალსუბიექტიანი და მოიცავს კერძოკაპიტალისტურ წყობას, სახელმწიფო სექტორს და წვრილ სასაქონლო წყობას). დღეს მრავალწყობიანობა ეკონომიკის განვითარების გამოკვეთილი ტენდენციაა.

ეკონომიკური სისტემის ყველა შემადგენელი (კაპიტალი, სამუშაო ძალა, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) დეფორმირებულია. მაგალითად, კაპიტალის დიდი ნაწილი წარმომავლობის (პრივატიზაციის კრიმინალური ასპექტები) და დაბალი მენეჯმენტის გამო, კვლავწარმოებაში რეალურად არ მონაწილეობს. ძირითადი და საწარმოო ფონდების, სავარგულების დიდი ნაწილი კონსერვაციაშია. წარმოების (განვითარების) ფაქტორი – შრომაა (სამუშაო ძალა) ახალ რეალობასთან (ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებთან) ადაპტირებული არ არის. ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მეწარმეობრივი უნარი თვითგანვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ იყენებს. ცოდნა, როგორც განვითარების ინტეგრირებული ფაქტორი, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებს არ ითვალისწინებს. ამიტომაა, რომ ზოგად კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით განისაზღვრება ეკონომიკის განვითარების ორიენტირები და სტრატეგიაც. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (როგორც განვითარების ფაქტორი) დროის მოთხოვნებს ჩამორჩა და ეკონომიკის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას სისტემური ხასიათი არა აქვს.

ამრიგად, ეკონომიკის დღევანდელი საბაზრო სისტემა კონგლომერატია, თვისებრივად ახალი ისტორიულ-ეკონომიკური ტიპი, რომელშიც გამოიკვეთა ნებისმიერი საშუალებით ფულის შოვნის დაუოკებელი მისწრაფება (ყალბად გაგე-

[3] ვრცლად ნოდარ ჭითანავა. „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბ. გამომცემლობა „ივერონი“. გვ. 56-122.

[4] ლ. ჩიქავა „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა“. მოხსენება ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე (2011 წლის აპრილი).

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგნოზული გათვლებით სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (ძირითადად ქართველების) ხვედრითი წილი მკვეთრად შემცირდება. ნავარაუდევია, რომ 2010-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობა 1 მლნ. შემცირდება, ხოლო სომხეთის 200 ათასითა და აზერბაიჯანის 1,7 მლნ კაცით გაიზრდება. ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მიაღწევს 63%-ს, სომხეთისა თითქმის უცვლელი დარჩება, საქართველოსი კი დაიკლებს 19%-მდე, მაშინ როცა იგი 1960 წელს შეადგენდა 42,2%-ს.

ბული საბაზრო მოტივაცია). ადამიანებისა და რესურსების მკაცრი ექსპლუატაცია (პოლიტიკურ-ეკონომიკური ქცევა). სუსტია საბაზრო მექანიზმები, მათ არა აქვთ თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი. როგორც აღინიშნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (როგორც ასეთი) სწორად არ არის გაცნობიერებული. ამრიგად, საქართველოში როგორც ფორმით, ასევე შინაარსით ფუნქციონირებს სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც დეფორმირებულ საბაზრო და სახელმწიფოებრივ მექანიზმებს ემყარება. ამიტომ მისი სიცოცხლისუნარიანობა, თვითგანვითარების უნარი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის ახალ ტრაექტორიაზე გადასვლას.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნების მთავარი სუბიექტები – **სახელმწიფო-პოლიტიკური პარტიები-ბიზნესი-არასამთავრობო სტრუქტურები (სამოქალაქო საზოგადოება)-პროფკავშირები-მეცნიერება-საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები-ცალ-ცალკე, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან, გამოიყენება ცნობილი პრინციპიც – ყველა ერთის წინააღმდეგ. სწორედ ეს ერთი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებია. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესზე ზემოქმედების სუბიექტების საქმიანობა ვიწრო მიზნობრივი პოზიციებიდან წარიმართება და ერთობლივად მოქმედებაზე ორიენტირებულიც არ არის.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ XX საუკუნეში საქართველომ ხუთი უცხოური ეკონომიკური დოქტრინა გამოსცადა („წმინდა კაპიტალიზმის“ სახეშეცვლილი (რუსეთის იმპერიის თავისებურებების გათვალისწინებით) მოდელი, სოციალ-დემოკრატიული, ნეპი, ცენტრალური დაგეგმვა და მართვა, „შოკური თერაპია“).[5] ხუთივე წარუმატებელი აღმოჩნდა. ამასთან ყოველი მომდევნო დოქტრინა წინას ანტიპოდი იყო. ამიტომ ქვეყნის განვითარებაში დაიკარგა გენეტიკური ფონი (მემკვიდრეობითობა), რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესში ეტაპობრივად იქმნება ახალი წანამძღვრები, შემდგომში უფრო გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. **ეს პრინციპი დაირღვა. გარედან „ბიძგების“ იდეოლოგიამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდი ხნით შეაფერხა.**

ეროვნული ეკონომიკის სისტემური კრიზისის თავისებურებას გამოხატავს ეკონომიკური (მშპ) ზრდის ტენდენცია. უკანასკნელ წლებში მსოფლიო კრიზისის ფონზე ეროვნულ ეკონომიკაში ზრდის შედარებით მაღალი ტემპები აღინიშნა, რაც ხშირად სტაბილურობის არგუმენტად გამოიყენება. რა თქმა უნდა ზრდის შედარებით მაღალი ტემპები სახეზეა, მაგრამ იგი არსებით გავლენას ვერ ახდენს მწვავე პრობლემების გადაწყვეტაზე, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის საჭირო მასშტაბებით განვითარებას. ეს იმიტომ რომ ზრდის მიღწეული ტემპები ფაქტობრივად ეროვნული ეკონომიკის აღდგენითი, საკომპენსაციო ზრდის პროცესს ასახავს და განისაზღვრება დაბალი საწყისი დონით. მაგალითად, 1990 წლის მიმართ მშპ წარმოება შეადგენდა 1994 წელს – 27,8%,[6] 2000 წელს – 38,1%, 2003 წელს – 46,3%, 2007 წელს – 65%, 2008 წელს – 71,1%[7], 2011 წელს – 81%.[8]

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ტრანსფორმაციული პროცესების შედეგები შემდეგ სურათს იძლევა: **მრეწველობა – 16,1%, ვაჭრობა – 17%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 12%, მშენებლობა – 6%, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა – 8,4%, საფინანსო საქმიანობა – 3%, სახელმწიფო მმართველობა – 13%.** ამ უკანასკნელის წილის ზრდა ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასის ხელოვნური ზრდით (საშუალო ხელფასი 7-ჯერ აღემატება საშუალო პენსიას). **ვაჭრობის** წილის ზრდა გამოწვეულია იმპორტის მოცულობის ზრდით (2011 წელს იმპორტი შეადგენდა 7 მლრდ მეტ დოლარს, ექსპორტი 2 მლრდ. დოლარს). შიდა ბაზარზე იმპორტული საქონლის ხვედრითი წილი 70-80%-მდე მერყეობს. **მრეწველობის** მაჩვენებელი ადასტურებს, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს **დეინდუსტრიალიზაციის საშიში პროცესი. სოფლის მეურნეობის** წილი გვიჩვენებს იმას, რომ შრომის მწარმოებლურობა დარგში უკიდურესად დაბალია (ქვეყანაში დასაქმებულთა 54% სოფლის მეურნეობაშია და მშპ მოცულობაში 8,4% ქმნის).

განვლილ პერიოდში, როგორც ტრანსფორ-

[5] ვრცლად ნოდარ ჭითანავა „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბ. გამომცემლობა „ივერონი“. გვ. 99-114; 154-160.

[6] ნოდარ ჭითანავა. „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბ. გამომცემლობა „ივერონი“. გვ. 68.

[7] რ. ასათიანი. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბ. 2010.

[8] საქართველოს ეკონომიკა. თბ. 2012 გვ. 287.

მაციის შედეგი, ჩამოყალიბდა მრავალმხრივობით გამორჩეული სიტუაცია. **ერთი მხრივ,** სახეზეა ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა (ზიგზაგისებური ხასიათი, რეალური ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობა და სხვ.), ცხოვრების დონის მკვეთრი შემცირება, უმუშევრობის მასობრივი ხასიათი, სოციალური პოლარიზაციის გაღრმავება და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირების რეალური საფრთხე. **მეორე მხრივ, ქვეყნის განვითარების პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა.** კერძოდ, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება, საბაზრო მენტალიტეტის ჩამოყალიბება, კერძო სექტორის დომინირებული მდგომარეობა, საბაზრო ინფრასტრუქტურა, ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის მაღალი დონე, საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილება, ტრასეკასა და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციონირების როლი და მნიშვნელობა და სხვ.

ამრიგად, ერთ სიბრტყეზეა წარმოდგენილი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციები. მკაფიოდ გამოჩნდა პოზიტიური პირობა-ფაქტორების აშკარა უპირატესობა და დომინირებადი ხასიათი.

ასეთ, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით არა სტანდარტულ, სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებას, რომლის დევიზი უნდა იყოს არა რევანშისტული მიდგომა „სისხლი სისხლის წილ“ და განვლილ პერიოდში ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესში აღმოცენებული საზოგადოებრივი ინტერესების ისევ დაპირისპირება, არამედ განვითარების უკვე ჩამოყალიბებულ პოზიტიურ ფაქტორებზე დაყრდნობით, პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების „ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“ (ილია).

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა (მისი მრავალმხრივი ასპექტებით) წარმოადგენს რთულ კვანძებად ჩამოყალიბებულ პრობლემათა ერთობლიობას, რომელთა გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს, და რაც გადამწყვეტია საზოგადოების, მთელი მოსახლეობის ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერგიის გამთლიანებას და ერთიანი მიზნისკენ წარმართვას და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს.

ქვეყანას სჭირდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მთავარ ეროვნულ იდეას (მიზანს) და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების ორიენტაციის სტაბილურობას. იდეოლოგიის განხორციელება უნდა მოხდეს თანმიმდევრულად, ეტაპობრივად (კონკრეტული ამოცანების შესაბამისად) კომპლექსური პროგრამების მეშვეობით.

ამრიგად, იდეოლოგია (ქვეყნის განვითარების იდეების, შეხედულებების და რწმენის სისტემური ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ფენომენს და თავსებადია ზოგად-საკაცობრიო იდეალებთან) და სტრატეგიის (მიზნის) პერსპექტიული ხედვა, პროგრამა კი იდეოლოგიის განხორციელების ორგანიზაციული ფორმა-ინსტრუმენტი.

დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილია შედგეს საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელშიც აისახება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები და სტრატეგიული მიზნით განსაზღვრული ამოცანები, ეტაპები, პრიორიტეტები, განვითარების პროცესის რეგულირების მექანიზმები. უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის ამოსავალი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რათა ობიექტურად პასუხი გაეცეს სამ მთავარ კითხვას: **პირველი,** განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყანა. **მეორე,** საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), რომელიც მიმართულებით უნდა განვითარდეს ქვეყანა? **მესამე,** როგორი პერიოდულობით და რესურსებით ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას?

ასეთი (პროგრამული) მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ მასში აისახება ლოგიკური (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და სხვ.) კავშირი (ურთიერთგანპირობებულობის დონე) დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ ფაქტორებს შორის (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნის ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა). პროგრამაში **მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული იდეა (განვითარების მიზანი), რომლის გარშემო მოხდება ერის კონსოლიდაცია და მიიღწევა ეროვნული თანხმობა (ფართო გაგებით). ასეთად მიგვაჩნია: საქართველოს სახელმწიფოს იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება, ქართული ფენომენის თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, გლობალური პროცესების აქტიურ სუბიექტად გადაქცევა.**

ეს იდეა ლოგიკურად ამთლიანებს ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამასთან ადეკვატურად პასუხობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ეკოლოგიური პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებულ ახალ პარადიგმას – გლობალური აზროვნების, ლოკალური მოქმედებისა და სოციალურ-ეკონომიურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ერთიანობის პრინციპს.

ეროვნული იდეის კონტექსტში უნდა გამოიყოს ერთი განსაკუთრებული მიმართულება (იდეა-სტრატეგია), რომელიც რეალურად განსაზღვრავს საქართველოს როლს ცივილიზაციათა ურთიერთობებში. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ქართული კულტურა (ფართო გაგებით), რომელიც მართლმადიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს ემყარება, დროსთან მიმართებაში სრულყოფას განიცდის, გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თავისთავადობით, მთლიანობით, სრულყოფილად გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, პატრიოტულ, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების, თანასწორობის ჰუმანურ იდეალებს. **მუდმივად (ისტორიული პაუზის გარეშე) ემსახურებოდა (ემსახურება) ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს. მომავალშიც საქართველომ გარე სამყაროს მუდმივად უნდა შესთავაზოს საკუთარი კულტურა, როგორც ეკსკლუზიური წვლილი კაცობრიობის განვითარებაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეროვნული კულტურის განვითარება ვადიაროთ ზოგად-ეროვნულ მიზნად.**

დღეს საქართველოს წინაშე დგას კომპლექსური ამოცანები:

პოლიტიკურ სფეროში: სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება;

სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში: ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმების დაჩქარება;

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში: პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება;

მმართველობით-ორგანიზაციულ სფეროში: ადამიანისეული ფაქტორის გაძლიერება.

აღნიშნული ამოცანების განხორციელება მხოლოდ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე ორიენტაციით სასურველ შედეგს არ მოგვცემს. გვმართებს **ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: არც ეროვნული ცნობიერებისა და გამოცდილების ნაჭუჭში ჩაკეტვა და არც ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა.**

ახალი ტიპის სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, ეროვნული ეკონომიკა, ქართული ფენომენიდან უნდა ამოვიდეს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს პროგრესული გამოცდილებისა და ეროვნული ტრადიციების ოპტიმალური თავსებადობით. საზოგადოებაში განსაზღვრული უნდა იყოს არა მხოლოდ **ინდივიდის ინტერესები, მისი როლის გააქტიურების პრინციპი, არამედ მასთან ერთად, ოჯახის, საერთოდ, ერის ფუძემდებლური როლისა და ფუნქციონირების სწორად** გაცნობიერება. ქართული ოჯახი (კომლი) ყოველთვის ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი (ბურჯი) იყო. მომავალშიც ასე უნდა იყოს. **ქართული სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, ისტორიული განვითარების პროგნოზირება, ადამიანისა და საზოგადოების ინტერესების დაცვა, ერის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.** მთავარია, დროსთან ადაპტირებისას სწორად განისაზღვროს სახელმწიფოს როლი. სახელმწიფო ერთადერთი სუბიექტია საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებაში ძველი და ახლად აღმოცენებული ინტერესების დაბალანსება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთლიანობითი სისტემის ელემენტების ურთიერთმოქმედების ეფექტიანობა. ასეთი ფუნქციის შესრულებას შეძლებს მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული აგებულებით, მიზნებითა და მათი რეალიზაციის მექანიზმებით ეყრდნობა დემოკრატიისა და სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის პრიორიტეტს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (მოდელი) არც ერთი სხვა ქვეყნის თარგზე არ უნდა შეიქმნას. ეროვნული სისტემა ქვეყნის თვითმყოფადობის, ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს ეყრდნობა. ასეთ სისტემად გვესახება შერეული (მრავალსუბიექტიანი) **სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა.** იგი **ეკონომიკური** (მრავალსუბიექტიანობა), **სამართლებრივი** საკუთრების ფორმების პლურალიზმი), **ორგანიზაციული** (ბაზრისა და სახელმწიფოს სიმბიოზმი), **მმართველობითი**

(განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა), **ზნეობრივი** (ადამიანის კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა) პრინციპების ერთობლიობას ეფუძნება და ემსახურება მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზანს – ცხოვრების მაღალი დონის (ხარისხის) მიღწევასა და სტაბილიზაციას.

ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ **ზოგადეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი, რეგიონული, ეტაპობრივი, დარგობრივი და სხვა ხასიათის პრიორიტეტები.** პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველი არსებული ვითარების სისტემური ანალიზი და განვითარების თანამედროვე მეთოდებით პროგნოზირებაა.

ამჟამად, ქვეყნის განვითარების ზოგადეროვნული პრიორიტეტია (როგორც აღინიშნა) ეროვნული კულტურის განვითარება, საერთო-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებია: დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის გაძლიერება-დაჩქარება; საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება; განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სისტემების სწრაფი განვითარება, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტების ერთიანობა.

თითოეული პრიორიტეტის (მიმართულების) მიხედვით გამოიყოფა დარგობრივი, რეგიონული, ეტაპობრივი პრიორიტეტები. მაგალითად: **პოლიტიკურ სფეროში** – ინსტიტუციური გარდაქმნები, **ეკონომიკის სფეროში** – ენერგეტიკის, სურსათის წარმოების, ტურიზმის განვითარების, **სოციალურ სფეროში** – დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა და სხვ. **რეგიონულ სფეროში** – რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მისი დარგობრივი სტრუქტურით. **ამჟამად და მომავალშიც ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია მრეწველობამ უნდა შეასრულოს.** იგულისხმება, რომ იგი მაღალ ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტის თანამედროვე სისტემებს უნდა ეყრდნობოდეს. ამასთან, საქართველოში უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკის ექსტენსიური განვითარება გარდაუვალია (დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა ამ პროცესთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული). აღსანიშნავია ისიც, **რომ ბოლო წლებში ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის პროცესი ძლიერდება, რაც მომავალში დეინტელექტუალიზაციის საშიშ პროცესს გააღრმავებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის, როგორც დარგის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას.** უპირველესად, უნდა წავახალისოთ ისეთი საწარმოების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას – ეს ეხება გადამამუშავებელ მრეწველობას. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროს განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების წარმოებას.

სამრეწველო პოლიტიკაში უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის ფუნქციები და რული, ჩვენი აზრით, რიგი დარგები (ენერგეტიკა, რკინიგზა, მომპოვებელი მრეწველობის განსაკუთრებული მნიშვნელობის საწარმოები, ბუნებრივად მონოპოლიური დარგები და სხვა) მიზანშეწონილია დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში ან შერეული (სახელმწიფო-კომერციული) ფორმით. აუცილებელია მრეწველობის (საერთოდ ეკონომიკის) მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე გადასვლა (ბუნების დამზოგველ, უნარჩენო და ბუნების აღმდგენი ტექნოლოგიების გამოყენება). მრეწველობაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ქვეყანაში არსებული ხელშემწყობი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები. **საქართველოს მრეწველობის, საერთოდ ეკონომიკის განვითარების უმთავრესი პირობა-ფაქტორი ენერგეტიკის დიდი პოტენციალის ოპტიმალური ამოქმედებაა.**

აგრარული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამჟამად სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა უნდა შეფასდეს როგორც კრიზისული (საგანგებო) და მისი დაძლევისათვის აუცილებელია კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და თანმიმდევრულად განხორციელება.

ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რთული პრობლემების გადაწყვეტაში განმსაზღვრელი რული კოოპერაციას ეკუთვნის. მის გარეშე შეუძლებელია პროდუქციის წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციის ერთიანი სისტემის ფორმირება და

ეფექტიანი ფუნქციონირება. მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი **„კოოპერაციის შესახებ“.** საჭიროებისამებრ შეიძლება გამოყენებულ იქნას შერეული საწარმოების შექმნა-ფუნქციონირების პრაქტიკა (მაგალითად, გადამამუშავებელი საწარმოები, ასევე მომსახურების სერვის-ცენტრები და სხვ. სახელმწიფოს და კერძო სექტორის სახსრებით აშენდეს). ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ლიზინგი.

უნდა შეიქმნას აგრარული სახელმწიფო-კომერციული ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის განვითარების მომსახურებას. სახელმწიფო სისტემაში უნდა ფუნქციონირებდეს მრავალდარგოვანი მეურნეობისთვის კადრების მომზადების ერთიანი სისტემა. სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სრულიად ახალ შინაარსს იძენს. იგი უპირველეს ყოვლისა, პარტნიორობას, ინტერესთა შეთანაწყობას და ურთიერთობათა ახალ ფორმებს გულისხმობს, რაც არ შელახავს დამოუკიდებელი მეწარმის სამეურნეო, ეკონომიკურ, უფლებრივ და სხვა ინტერესებს.

დიდი რეზერვებია შიდა რეგიონთაშორისი კოოპერაციის (ინტეგრაციის) განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს ეხება წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკურ, ინფორმაციულ და მომსახურების სფეროს. გარდამავალ პერიოდში კოოპერაციამ შეიძინა უნიკალური ფუნქცია: **ქვეყნის შიგნით, რეგიონებს შორის ხელი შეუწყოს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიმტკიცის ჯანსაღი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადებას. ამიტომ, სწორად უნდა მივიჩნიოთ, რომ რეგიონების საწარმოებს (საერთოდ ეკონომიკის სექტორებს) შორის კავშირების გაფართოება (ფრანჩაიზინგი, ერთობლივი საწარმოები და სხვ.) ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ინოვაციურ აქტიურობას, რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რისკების გადანაწილებას და სხვ.** რაც მთავარია, ასეთი ურთიერთობები განამტკიცებს ქვეყნის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ფორმირებასა და სიცოცხლისუნარიანობას.

აღსანიშნავია, რომ **ეკონომიკა საქართველოსთვის ახალი მოვლენაა. იგი ფაქტობრივად ეფუძნება მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებს, რომლებიც წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან.** ერთ-ერთი ნიშან-თვისება, რომელიც კორპორატიულ ეკონომიკას საერთოდ ახასიათებს ისაა, რომ გლობალიზაციის პროცესში ტრანსეროვნული კომპანიების ეროვნულ ეკონომიკაში შემოსვლის მიზნის „გაფილტვრის“ შესაძლებლობას ქმნის, რაც გეოპოლიტიკური სტრატეგიის ძლიერი ბერკეტი იქნება. წარმოების განვითარების მასტიმულირებელი ფუნქცია შეუძლია შეასრულოს ადგილობრივ პრობლემებს მორგებულმა ფრანჩაიზინგის სისტემამ, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეფუძნება (მსხვილი სტრუქტურა თავის უფლებამოსილებას გადასცემს მცირე საწარმოს (ვთქვათ, საკონსერვო წარმოებას), რათა მან გამოიყენოს მისი სავაჭრო მარკებით და რეკლამით სარგებლობის უფლება. ამასთან აწოდებს საქონელს, ტექნოლოგიებს, ეხმარება ფინანსურად და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ახალი მოვლენები (ტენდენციები) გამოვლინდა. ერთ-ერთი მათგანია ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებლად სოფელში გადასვლა. ეს პროცესი, რომელსაც რურალიზაციას ეძახიან, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. საქართველოში რურალიზაციის პროცესის გაძლიერების ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული წანამძღვრები შექმნილია, საჭიროა პროცესის მატერიალური საფუძველი მომზადდეს. ეს კომპლექსური მოვლენაა და პრობლემების ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ამიტომ, საჭიროა პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირება. პენსიების თუნდაც საარსებო მინიმუმის დონემდე გაზრდა, სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის თუნდაც მინიმალურ დონეზე განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრეთა აშენება-ფუნქციონირება და სხვა ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქალაქის მოსახლეობის თანდათანობით გადასვლას სოფელში. განსაკუთრებით იქ, სადაც მიტოვებული ნასახლარია, ან აგარაკები აქვს მოახლეობას. დღეს თბილისის გარშემო ადრინდელი მსხვილი მეურნეობების ბაზაზე ათიათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ბევრგან საცხოვრებელი ფართით, ფაქტობრივად გამოუყენებელია. უფრო მეტიც, საქართველოს სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქშია და დროებითი სამუშაოს ძიებაში კარგავს დროს. ეს უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა სახელმწიფოებრივ რეგულირებას მოითხოვს.

რაც შეეხება ეკონომიკის სხვა დარგების (სფეროების) განვითარებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას და სხვ. უნდა განისაზღვროს საერთო-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების შესაბამისად, მათი როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლას და საჭირო ტემპებით განვითარებას სჭირდება შესაბამისი საინვესტიციო გარემო. ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო აუცილებელია გარედან ინვესტიციების მოზიდვა, რაც სწორად (სახელმწიფოებრივად) გააზრებულ მიდგომას მოითხოვს. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ის სფეროები (დარგები), სადაც ინვესტიციების ჩადება ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის გაფართოებულ კვლავწარმოებას. ხელი უნდა შევუწყოთ ერთობლივი საწარმოების, თავისუფალი ზონების, ლიზინგისა და სხვა ფორმების ფართოდ გამოყენებას. ყოველმხრივ, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად, სამართლებრივად უნდა წავახალისოთ ქართველი „ახალი მდიდრების“ კაპიტალის ეროვნულ ეკონომიკაში განთავსების პროცესი. მათ დიდი რესურსები აქვთ, რომელთა რაციონალურად გამოყენება ქვეყანას წაადგება.

საინვესტიციო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბანკებს. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა დააფინანსონ ეკონომიკის რეალური სექტორი, ის მიმართულებანი, სადაც უფრო მეტი სამუშაო ადგილები იქმნება (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.).

გლობალურ პროცესებში ეროვნული ეკონომიკის ჩართვამ მოითხოვა ინფორმაციული უზრუნველყოფის თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა. ამჟამინდელი მაჩვენებლები **მეპი, მშპ, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი** და სხვა, რომლებიც გამოიყენება ქვეყნების ცხოვრების დონის შეფასებისთვის, საკმარისი არ აღმოჩნდა ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების პროგნოზირებისათვის. მაგალითად, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა **მშპ არ გამოდგება ეკონომიკის მდგრადი განვითარების დახასიათება-შეფასებისთვის.** ამიტომ საჭიროა შეიქმნას სტატისტიკურ მაჩვენებელთა ახალი სისტემა. მასში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმები, **არამედ პოლიტიკური სტატისტიკის (დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობის, პოლიტიკური სტაბილურობის მახასიათებლების და სხვ.) მაჩვენებლებიც.**

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არსებითად დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფოს ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპი (მოდელი). ამ პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. **ჩვენი აზრით, საქართველო უნდა იყოს ფედერაციული რესპუბლიკა. ფედერაციული სუბიექტებია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მხარეები. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემაში პირველი დონე უნდა იყოს სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი – ადგილობრივი თვითმმართველობა.** მას აქვს საზღვრები (ტერიტორია), ქონება, ფინანსური წყაროები, ჰყავს წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო ან საკრებულო), რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით და ამტკიცებს მამასახლისს (გამგებელს). **მეორე დონეა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (მას საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი (პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, დროშა, გერბი, კონსტიტუცია) და მხარეები, რომლებსაც ყავთ წარმომადგენლობითი ორგანო** (აირჩევა 4 წლის ვადით. იგი პარლამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს მხარის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს).

მესამე დონე (ცენტრი) – პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი.

მართვის დონეებს შორის კონსტიტუციით გამიჯნულია უფლებამოსილებანი, საზღვრები, საკუთრება, ბიუჯეტი, ფინანსური წყაროები. პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. იგი შედგება ორი პალატისაგან. ერთ-ერთ პალატას, როგორც წესი, უხელმძღვანელებს აფხაზეთის წარმომადგენელი. ასევე აფხაზეთისთვის მთავრობაში განისაზღვრება კვოტა, მთავრობას აკომპლექტებს პარლამენტის უმრავლესობა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია (ტაქტიკა) მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საგარეო (განსაკუთრებით მისი მთავარი შემადგენლის – საგარეო-ეკონომიკურ) პოლიტიკას. იგი დროის ადეკვატური უნდა იყოს. დრო კი მკვეთრი ცვალებადობით, პრობლემის წარმოქმნა-განვითარების დღემდე უცნობი ნიშან-თვისებებით (გლობალიზაციის გავლენა) ხასიათდება და ქვეყნების წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. **ეს თავისებურება აიძულებს ქვეყანას თავისი შესაძლებლობები, როლი, ფუნქციები ახლებურად შეაფასოს არა მხოლოდ საკუთრივ, არამედ მსოფ-**

ლიო განვითარების ძირითადი ფაქტორების (განსაკუთრებით ინტერესების) გათვალისწინებითაც. საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცების ფონზე არა მხოლოდ ხელსაყრელი პირობები ყალიბდება, არამედ, იზრდება გამოწვევები, რისკები უსაფრთხოებისთვის.

ქვეყნის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის სივრცეში სრული ინტეგრაცია. ლოგიკურია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. უნდა გავიცნობიეროთ, რომ **საქართველოს თავისთავადობის შენარჩუნება-განმტკიცებისთვის ბეწვის ხიდზე მუდმივად, ფხიზლად და სხვათა ინტერესების გათვალისწინებითაც გავლა მოუწევს. ეს მისი ისტორიული ბედისწერაა.**

საქართველოს ამჟამად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური (ტრასეკა, ენერგეტიკული დერეფანი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა და სხვ.) მდგომარეობა აქვს, ევროპისა და აზიის ქვეყნების ინტერესების შეჯერებისა და საკუთარი ეროვნული მიზნებისათვის გამოყენებით ევრაზიის სივრცეში დამკვიდრდეს ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური სუბიექტის როლით.

გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ფენომენში მხოლოდ ევროპული შემადგენელი არ არის წარმოდგენილი, არამედ რეალური აზიური კომპონენტიცაა, რომელსაც ქვეყნის წარსულში ძლიერად აქვს ფესვები გადგმული. ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველო ევრაზიის სივრცეში წარმოდგენილია არა მისი ევროპული და აზიური ნაწილების (შემადგენლების) არითმეტიკული ჯამის სიდიდით, არამედ მასზე მეტი განზომილებით. **ამას თვისებრიობას ეძახიან. სწორედ ეს აძლევს საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეში მანევრირების უნიკალურ შანსს. საქართველოს შეუძლია ექსკლუზიური როლის შესრულება კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ბაზრის) ფორმირებაში, რომელშიც სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ირანთან, თურქეთთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიის სუბიექტები. კავკასია პლანეტის უნიკალური რეგიონია. იგი მომავალში უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მსოფლიო ბაზრის დიდი პოტენციალის ტერიტორიული სეგმენტი, ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მისი შესაძლებლობების (რესურსების) კომპლექსურ ამოქმედებას.**

გასათვალისწინებელია, რომ „დიდი აბრეშუმის გზა“ ორ კონტინენტს შორის არა მარტო ეკონომიკურ (სამეურნეო) ინტერესებს ემსახურებოდა, არამედ კულტურის სფეროს განვითარებასაც. ეს ფუნქცია მომავალშიც „აბრეშუმის გზის“ მოდერნიზებული პროექტის განხორციელება-ფუნქციონირების დონეზე, ძლიერ ფაქტორად დარჩება. ამ ისტორიული ფუნქციის განხორციელებისა და გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთ-ერთი წარმმართველი ლიდერის როლს ისტორიულად საქართველო ასრულებდა. ეს, უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა.

საქართველოს მიერ ამ როლის შესრულებას, სხვა პირობებთან ერთად, ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა სჭირდება. სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური კონიუნქტურა, აზიის ფენომენის მზარდი ხასიათი, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, ირანის, შუაზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების თავიოსებურებანი, ტენდენციები და ორიენტირები, **შავი ზღვის აუზის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის** კომპლექსური ხასიათი, **აფრიკისა და, საერთოდ, წინააზიის რეგიონში შექმნილი** ვითარება, რომლის ინიცირება აშშ და ევროპის ინტერესების გავლენით მოხდა, **საქართველოს უქმნის ხელსაყრელ გარემოს ევრაზიის სივრცეში მანევრირებისათვის. ეს სტრატეგიული რესურსია,** რომლის გონივრულად გამოყენება ამავდროულად ეროვნული თანხმობის (შიდა ეროვნული ფაქტორების თანმიმდევრულად და ერთიანი სისტემის ამოქმედებით) მიღწევისა და სიმტკიცის **გარანტიაც იქნება (გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა, როცა მათი შერწყმა ხდება ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის).**

წარმოდგენილი მიდგომების (პრინციპების) მიხედვით ქვეყნის განვითარების საგარეო სტრატეგიაში უნდა მოხდეს ამოცანებისა და პრობლემების სისტემატიზაცია, განისაზღვროს პრიორიტეტები, დროსა და სივრცეში მათი რეალიზაციის ეტაპები, თანმიმდევრობა, მექანიზმები და სხვა.

ქვეყანაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა, თავისებურებანი და ტენდენციები, როცა ქვეყანა ღია ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებს და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებშია ჩართული, როცა დრო ახალ გამოწვევებს გვთავაზობს, როცა სოციალური დაძაბული

მდგომარეობა რეალურად ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელებას, ქვეყნის განვითარებას სჭირდება პროგრამული მართვა. ქვეყნის **მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შედგენაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სუბიექტმა. ხოლო ტრიადას – სახელმწიფოს-მეცნიერებას-ეკლესიას უნდა დაეკისროს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისა და მისი განხორციელების კოორდინაცია. ამ შემთხვევაში უფრო მოხერხდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე განვითარების უმთავრესი ფაქტორების სწორად განსაზღვრა და შეთანხმებულად ამოქმედება.**

რატომ სახელმწიფოს? მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ქვეყნის განვითარების დაგროვილი გამოცდილება, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცოდნის (განათლების, მეცნიერების) არსებული პოტენციალი და მეორე მხრივ მოსახლეობის სოციალური ენერგია ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისთვის საჭიროა ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის სწორი ანალიზი და პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა, სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერგიის (მემკვიდრეობითობის პრინციპი) ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება, განვითარების ერთიან პროცესში მათი ჩართვა. **ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი სახელმწიფო სტრატეგიით და ხელისუფლების ლიდერობით უნდა წარიმართოს.**

რატომ მეცნიერებას? ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. სწორედ მეცნიერული ცოდნა განსაზღვრავს განვითარების მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალურს. მეცნიერება მუდამ უნდა ასაზრდოებდეს პრაქტიკას, დროულად უნდა ასწრებდეს მის განზოგადებას და შესაბამისი კორექტივები უნდა შეჰქონდეს შემუშავებულ სტრატეგიაში.

რატომ ეკლესიას? იგი ისტორიულ ფუნქციას ასრულებდა და ასრულებს მამულთან და ენასთან ერთად, ქართული ფენომენის მტკიცე დასაყრდენი **(„ღვთაებრივი საუნჯე“ (ილია)** იყო და არის.

ილია ამბობდა: **„ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... სხვათაშორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა“.**

გასათვალისწინებელია, რომ ქართული ეკლესია კარგი მაგალითია სარწმუნოების და მეცნიერების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება. ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან (ილია). ამასთან, მოვალენი ვართ დღევანდელი გადასახედიდან სწორად შევაფასოთ საქართველოს სახელმწიფოებრივ მართვაში ეკლესიის როლის უნიკალური გამოცდილება. მხედველობაში მაქვს დავით აღმაშენებელ-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის მოდელი. ამ მოდელის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობაზე სხვადასხვა დროს საკუთარი აზრი საჯაროდ გამოვთქვი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2-3 აგვისტო, 1998 წ.). მიმაჩნდა (მიმაჩნია), რომ **დავით აღმაშენებელი-გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკური ტანდემის მოდელის გათანამედროვეობა უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების ამოსავალი პრინციპი.** ცნობილია, რომ ამ მოდელის მთავარი ღერძი ცოდნას, მეცნიერებას ეყრდნობა. ძლიერი ხელისუფლების გვერდით წამყვანი ფიგურა იყო არა მეჭურჭლეთუხუცესი (არა ეკონომიკის სფერო), არამედ მწიგნობართუხუცესი (განათლების, მეცნიერების, საერთოდ, აზროვნების სფერო), რომელიც ეროვნულ იდეოლოგიას (მართლმადიდებლობას) ეფუძნებოდა და ორგანულად ერწყმოდა. საკითხი დგას არა წარსულის სახელმწიფო მართვის აღიარებული სისტემის ბრმად გადმოტანაზე, არამედ საჭიროა სწორად ავხსნათ, თუ როგორ და რატომ მივიდა ასეთი მოდელის (სტრუქტურის) ჩამოყალიბებამდე მაშინდელი პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნება. რა იყო ის მთავარი, რომელზეც აღმოცენდა იგი. **აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ეკლესიაში მიმდინარე არაორდინალური პროცესები, თავად ეკლესიის როლისა და გავლენის მზარდი ტენდენციები, ერის კონსოლიდაციის რთული ამოცანა, რომელ-**

იც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარეფაქტორების გავლენით, აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოსა და ეკლესიის საქმიანობის კოორდინაციას.

რუის-ურბნისის კრების მსგავს ღონისძიებათა განხორციელებას, რომლის აუცილებლობაში ეჭვიც არ გვეპარება, მხოლოდ ეკლესია შიდა რესურსებით, სახელმწიფოს მიზანმიმართული მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე ვერ შეძლებს. ქვეყნის **განვითარების სტრატეგიული ინტერესები მოითხოვს მართლმადიდებლობის („ღვთაებრივი საუნჯის"), როგორც ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლის დროთა განმავლობაში დაგროვილი სხვადასხვა მინარევებისგან გაწმენდას. ამ საქმეში განუზომლად დიდია სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი.**

დადგა დრო, რომ ქართველმა ერმა („როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთ ხორც მკვიდრთა") მტკიცედ განაცხადოს: „გვეყო ბატონებო ჩვენი აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენი გაჭირვების „გულის ტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ" (ილია).

დღევანდელ თაობას ევალება ამ საგანგებო და ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის შესრულებისთვის მზად იყოს!

„მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ" (სოლომონ დოდაშვილი).

ОСОБЕННОСТИ ТРАНСФОРМАЦИИ ГРУЗИНСКОЙ ЭКОНОМИКИ И ЛОГИКА ФОРМИРОВАНИЦ РАЗВИТИЦ НОВОЙ СТРАТЕГИИ

НОДАР ЧИТАНАВА -
ДЕН, Профессор

В статье рассмотрены факторы, которые обусловили противоречивый характер развития трансформационных процессов в Грузии, в результате чего сформировалась квазирыночная система экономики. Ее составляющие практически деформированы (капитал, рабочая сила, рыночный механизм, инструментарий государственного регулирования и др.)

Главным социально-экономическим противоречием на современном этапе развития общества в Грузии, является острое противоречие между социальными группами – обогатившимся меньшинством (новые богатые) и обнищавшимся большинством (новые бедные).

Характерно, что в стране сложилась уникальная ситуация: с одной стороны, несмотря на кризисное состояние экономики, сложились благоприятные факторы условия для ее перехода к росту и эффективности, а с другой стороны, налицо неадекватная экономическая политика государства. Такое явление - результат проведения курса минимизации роли государства в экономическом развитии.

В нынешних условиях особое значение приобретает формирование новой стратегии развития страны. С этой целью, необходимо формирование национально-государственной идеологии, определение национальной цели и стратегических задач по устойчивому развитию национальной экономики.